ხელშეკრულება
გაზის ნასყიდობის შესახებ

ქ.თელავი 1 დეკემბერი 2016 წ

ერთის მხრივ, **ს.ს. „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“** (შემდგომში: „გამყიდველი“), წარმოდგენილი გაზის დისტრიბუციის დეპარტამენტის თელავის სერვის ცენტრის დირექტორის დავით ჯერმიზაშვილის სახით და მეორეს მხრივ, **თელავის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი** (შემდგომში„მყიდველი”) წარმოდგენილი დირექტორის შუქია გიორგელაშვილის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. განმარტებები

1.1. ამ ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს, თუ ამავე ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული აქვს შემდეგი მნიშვნელობები:

1.1.1. „გაზი“ – ნახშირწყალბადები, რომლებიც 1,2 მპა წნევასა და 20^0 ტემპერატურაზე აირად მდგომარეობაშია და რომელთა თბური შემცველობაა არანაკლებ 31,8 მჯ/მ^3 (7600 კკალ/მ^3);

1.1.2. „მიწოდების პუნქტ(ებ)ი“ – ამ ხელშეკრულების 6.1 მუხლში მითითებული პუნქტები;

1.1.3. „ფორს-მაჟორი“ – მდგომარეობა, რომელიც განსაზღვრულია ამ ხელშეკრულების მე-9 მუხლში;

1.1.4. „მხარე“ – ნიშნავს ცალ-ცალკე ან გამყიდველს ან მყიდველს;

1.1.5. „მხარეები“ – ნიშნავს ერთობლივად, როგორც გამყიდველს, ასევე მყიდველს;

1.1.6. „საანგარიშო თვე“ – პერიოდი კალენდარული თვის პირველი რიცხვიდან ამავე კალენდარული თვის ბოლო რიცხვის ჩათვლით, რომლის განმავლობაში მყიდველს მიეწოდება ან უნდა მიეწოდოს გაზი;

1.1.7. „გაზის თვიური სახელშეკრულებო ღირებულება“ – გაზის თვიური საკონტრაქტო რაოდენობის ღირებულება;

1.1.8. „მესამე პირი“ – ნიშნავს ისეთ პირს, რომელიც არ იმყოფება მყიდველთან ან/და გამყიდველთან ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ურთიერთობებში.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს გაზის ყიდვა-გაყიდვა.

2.2. გამყიდველი ვალდებულია მიჰყიდოს მყიდველს (მის საკუთრებაში არსებული ბუნებრივი გაზის მილსადენის გამოყენებით), ხოლო მყიდველი ვალდებულია მიიღოს გამყიდველისგან შეძენილი გაზი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

მუხლი 3. მხარეთა ვალდებულებები

3.1 გამყიდველი ვალდებულია:

3.1.1 მიაწოდოს მყიდველს გაზი, წინამდებარე ხელშეკრულების 4.2 მუხლით გათვალისწინებული ოდენობით.

3.1.2 შეატყობინოს მყიდველს გაზის მიწოდებაში რაიმე სახის შეფერხების არსებობის შესახებ.

ასლი სწორია

3.1.3 10 (ათი) დღით ადრე შეატყობინოს მყიდველს გაზის ღირებულების შეცვლის შესახებ.

3.2 მყიდველი ვალდებულია:

3.2.1 გადაიხადოს მისაწოდებელი გაზის ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლით დადგენილ ვადაში.

3.2.2 დაიცვას გაზის მეურნეობაში მოქმედი უსაფრთხოების, ტექნიკური ექსპლუატაციის და სტანდარტების მოთხოვნები. სწორი ექსპლუატაცია გაუწიოს მის მფლობელობაში არსებულ გაზის მოწყობილობა-დანადგარებს და არ დაუშვას მათი თვითნებური მონტაჟი, გადაკეთება, დამატება ან სხვა მსგავსი ქმედებები. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობით გამოწვეულ ყველა სახის ზიანზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება მყიდველს.

3.2.3 დაუყოვნებლივ შეატყობინოს გამყიდველს გაზის აღმრიცხველი ხელსაწყოს მწყობრიდან გამოსვლის შესახებ.

3.2.4 არ დაუშვას გაზის აღურიცხავად მოხმარება, არ დაუშვას ზემოქმედება აღრიცხვის კვანძის გამართულ მუშაობაზე, ან მთლიანობაზე და უზრუნველყოს დღე-ღამის ნებისმიერ დროს გამყიდველის წარმომადგენელის შეუფერხებელი დაშვება გაზის აღრიცხვის ხელსაწყოებთან ან გაზის დანადგარებთან.

მუხლი 4. მიწოდების პერიოდი

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გაზის მიწოდების საწყისი ვადა განისაზღვრება 2016 წლის 1 დეკემბრიდან, 2017 წლის 1 დეკემბრამდე, ხოლო შემდგომში ამ ვადის გაგრძელება შესაძლოა მოხდეს ყოველი მომდევნო ერთი წლით ამავე ხელშეკრულების 9.1 პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

4.2. ყოველთვიურად მიწოდებული გაზის რაოდენობა განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 მუხლის მიხედვით.

მუხლი 5. საკონტრაქტო ფასი

5.1. ყოველი ათასი კუბური მეტრი მისაწოდებელი გაზის საკონტრაქტო ფასად ჩაითვლება **980** (ცხრაასოთხმოცი ლარი) ლარი, დღგ-ს ჩათვლით.

5.2. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების 5.1 მუხლით გათვალისწინებული გაზის ღირებულება შეიძლება შეიცვალოს მომწოდებლის მიერ გაზის ფასის, აგრეთვე გაზის ტრანსპორტირების ტარიფის გაზრდის შემთხვევაში და სხვა მსგავს შემთხვევებში, რის შესახებაც მყიდველს უნდა ეცნობოს ათი კალენდარული დღით ადრე.

მუხლი 6. გაზომვის და აღრიცხვის პროცედურები

6.1. მყიდველისათვის მიწოდებული გაზის ფაქტიური მოცულობის აღრიცხვა წარმოებს გაზის მიწოდების პუნქტებში მოწყობილ გაზის აღმრიცხველი ხელსაწყოებით, კერძოდ:

.

6.2. გაზის მრიცხველის გაუმართაობის ან გაზის უკანონოდ მოხმარების შემთხვევაში, მოხმარებული გაზის რაოდენობის განსაზღვრა და დარიცხული თანხების ამოღების უზრუნველყოფა მოხდება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის შესაბამისი ნორმატიული აქტის მიხედვით.

6.3. გამყიდველი და მყიდველი არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 1 (პირველი) რიცხვისა, შეადგენენ და ხელს აწერენ აქტს გამყიდველის მიერ მყიდველისათვის საანგარიშო თვეში მიწოდებული გაზის რაოდენობის შესახებ (შემდგომში: „თვიური მიღება-ჩაბარების კომერციული აქტი“), რომელშიც მოცემული იქნება საანგარიშო თვეში მიწოდებული გაზის ფაქტობრივი რაოდენობა, გადასახდელი

თანხა, რომელიმე მხარის დავალიანება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვა არსებითი გარემოებები. თვიური მიღება-ჩაბარების კომერციული აქტის თითო ორიგინალი გადაეცემა გამყიდველს და მყიდველს.

6.4. მყიდველის მიერ ამ მუხლის 6.3. პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში, გამყიდველთან მიღება-ჩაბარების კომერციული აქტის გაუფორმებლობის ან მიღებული

გაზის რაოდენობაზე უარის თქმის შემთხვევაში, გამყიდველი ადგენს ცალმხრივ თვიურ მიღება-ჩაბარების კომერციულ აქტს (რომელსაც დაუყოვნებლივ უგზავნის მყიდველს). მყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივი თვიური მიღება-ჩაბარების აქტის მიღებიდან

ერთ სამუშაო დღეში წარმოადგინოს გამყიდველთან დასაბუთებული პრეტენზია მოხმარებული გაზის რაოდენობასთან დაკავშირებით. თუ ასეთი პრეტენზია წარმოდგენილი არ იქნება, ცალმხრივი აქტი შედის ძალაში და წარმოადგენს ანგარიშსწორების საფუძველს.

6.5. თვიური მიღება-ჩაბარების კომერციული აქტი, ხოლო ამ ხელშეკრულების 6.4. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – ძალაში შესული ცალმხრივი თვიური მიღება-ჩაბარების კომერციული აქტი, საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა საბუთებთან ერთად, წარმოადგენს მხარეთა შორის საბოლოო ანგარიშსწორების დოკუმენტს.

მუხლი 7. ანგარიშსწორების პირობები

7.1. მყიდველი ვალდებულია გადაუხადოს გამყიდველს მოხმარებული ბუნებრივი გაზის საფასური საანგარიშო თვის დასრულებიდან არა უგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში 6.5. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების საფუძველზე.

7.2. მიწოდებულ გაზზე შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა გამოწერილი უნდა იყოს გამყიდველის მიერ საანგარიშო თვის ბოლო რიცხვით.

7.3. გამყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის დააკისროს მყიდველს პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0.5%-ის ოდენობით და ამავდროულად შეუწყვიტოს გაზის მიწოდება დავალიანებისა და პირგასამტეხლოს სრულად დაფარვამდე.

მუხლი 8. მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის მხარეებს ეკისრებათ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პასუხისმგებლობა.

მუხლი 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 1 დეკემბრამდე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე სულ მცირე 10 კალენდარული დღით ადრე არცერთი მხარე არ გამოთქვამს მისი შეწყვეტის სურვილს, ხელშეკრულების მოქმედება ავტომატურად გაგრძელდება იმავე პირობებით ყოველი მომდევნო ერთი წლით. ამ ხელშეკრულების ნორმები, რომლებიც აწესრიგებენ ანგარიშსწორებასთან ან/და პასუხსმგებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს მოქმედებენ მხარეთათვის განსაზღვრული შესაბამისი ვალდებულებების შესრულებამდე.

9.2 ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს

ხელშეკრულება, რის შესახებაც 10 დღით ადრე აცნობებს წერილობით ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს.

მუხლი 10. სხვა პირობები

10.1 დაუშვებელია მხარის მიერ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მისი უფლება-მოვალეობების გადაცემა მესამე პირისათვის მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადავო საკითხების გადაწყვეტა მოხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მხარეთა ურთიერთ-შეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობისას - სასამართლოში.

10.3 "ფორს-მაჟორული" გარემოებების დროს მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის. ფორს-მაჟორულ გარემოებებს მიეკუთვნება ომი, სტიქიური უბედურებები, მასობრივი არეულობები, ავარიები გაზსადენებზე და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელთა დადგომა ან შეწყვეტა არ არის დამოკიდებული მხარეთა ნებაზე.

10.4 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

გამყიდველი:	მყიდველი:
ს/ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია" ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №74ბ ს/კოდი: 202161098	თელავის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი მის: ქ.თელავი ალადაშვილის ქ.№2
ს.ს."თიბისი ბანკი"-ს თელავის ფილიალი ბანკის კოდი: 220101850	ს/ნ 231188808
ა/ა **GE08TB1195136020167454/GEL**	ტელ 595 95 61 18
ტელ: 27 24 95	
დავით ჯერმიზაშვილი	შუქია გიორგელაშვილი